

ლინგვისტური თავაზიანობისა და გენდერის რეპრეზენტაცია ინგლისური
ენის სახელმძღვანელოებში

მარიამ გოგოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოგოლაძე

29.06.2022

მადლობა

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებულ პროფესორს, ნინო გულიაშვილს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის გაწეული წვლილისთვის. მისი ადამიანური და პროფესიული მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო სადისერტაციო ნაშრომის განვითარებისა და დასრულებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ლინგვისტურ თავაზიანობასა და გენდერს შორის ურთიერთმიმართების წარმოჩენა საქართველოში გამოყენებული ინგლისური ენის სახელმძღვანელოების მიხედვით. აღნიშნული თემა მეტად აქტუალურია, რადგან კომბინირებული კრიტიკული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომებით შესაძლებელია მამაკაცისა და ქალის მიერ ლინგვისტური თავაზიანობის გამოყენების შინაარსისა და სიხშირის ცვლილებაზე დაკვირვება. შესაბამისად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ ინგლისური ენის სახელმძღვანელოში “Family and Friends” ქალისა და მამაკაცის სამეტყველო აქტები ლინგვისტური თავაზიანობისა და მისი გენდერთან მიმართების დადგენის მიზნით; ამასთან ერთად დაკვირვება ვაწარმოეთ ქალისა და მამაკაცის როლსა და სოციალურ სტატუსზე, რომელიც აღნიშნულ სახელმძღვანელოში სამეტყველო სტილთან ერთდ ახდენს გენდერული იდენტობის რეპრეზენტაციას; კვლევას და მიღებულ შედეგებს კი საფუძვლად უდევს შესაბამისი ლინგვისტური თეორიები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლინგვისტური თავაზიანობა, გენდერი, ენა, სოციალური სტატუსი, როლი, ინგლისური ენის სახელმძღვანელო

Abstract

This paper aims to show the relationship between linguistic politeness and gender in English language textbooks used in Georgia. The topic is pertinent because, with the combination of theoretical and methodological approaches, it is possible to observe changes in the frequency of the use of linguistic politeness exerted by men and women.

In the framework of the qualitative and quantitative research, we analyzed the dialogues presented in the English language textbook “Family and Friends” regarding politeness and gender; we also observed the role of women and men in the textbook in relation to the social status and linked the results to the existing theories. Thereby, the role and the social status of women and men along with the speech styles represented in this textbook tend to construct gender identities; The research and the obtained results are based on the relevant linguistic theories.

Keywords: Linguistic politeness, gender, Language, Social status English language textook